ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 168

10 ივლისი
"---" -------- 2018 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.009.032) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ბერნინისთვის" (ს/კ 400189666) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.009.032) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ბერნინისთვის" (ს/კ 400189666) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის №18.495.789 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.009.032) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბერნინისთვის" (ს/ნ: 400189666) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5700 (ხუთი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**